1. საკონკურსო განცხადება

1.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზის და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;
1.2. კონკურსის მიზანია სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაღუპულ ლანჩხუთელ მეომართა სახელების უკვდავსაყოფი მემორიალისათვის (შემდგომში– მემორიალი) საუკეთესო პროექტის შერჩევა და გამარჯვებულის გამოვლენა;
1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 000 ლარს;
1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge).
1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ს/კ 233730139
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
1.7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
1.8. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 10 აგვისტოს;
1.9. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 5 სექტემბერს.
1.10. საკონკურსო პროექტს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი. ესკიზი წარმოდგენილი უნდა იქნეს 3D ფორმატში, (ელექტრონული ვერსიით) ფერადი, დაბეჭდილი A3 ზომის ფურცელზე,ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზის (კოდის) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა-დასაბუთება.
1.11. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იდოს მცირე ზომის დალუქული კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის დევიზი (კოდი), მასში მოთავსდება ინფორმაცია ავტორის ვინაობის, მისამართისა და სხვა საკონტაქტო მონაცემების შესახებ.
1.12. კონკურსში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ დალუქული კონვერტის მიღებით, რაც ამავდროულად ნიშნავს, რომ კონკურსის პირობები მისაღებია კონკურსანტისათვის.

1.13. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 5 სექტემბრის 18 საათამდე, მისამართზე ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ.N37.
1.14. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;
1.15. საკონკურსო წინადადებები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ კონკურსში, მოთხოვნისთანავე უბრუნდებათ კონკურსანტებს.
1.16. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ იგი საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობის ხმებს მიიღებს.

2. საკონკურსო პირობები
2.1. საკონკურსო წინადადების ფასი:
ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ–ს გადამხდელად);
გ)საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 1000 ლარს, არ განიხილება.
დ) საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმით:

N	მომსახურების დასახელება	საკონკურსო წინადადების ფასი
1	ესკიზის პროექტის შედგენა	
2	საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	
3	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	
		სულ:

2.2. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:
2.2.1. ანგარიშსწორების პირობა:
ა) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო, ვალუტა–ლარი;
ბ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
2.2.2.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:
ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,3 %–ის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3 %–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით.
2.2.3. კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;
2.2.4. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს, შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ ესკიზში ან/და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ესკიზი ან/და მისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს შემსყიდველის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. გამარჯვებული პროექტები გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.
2.2.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

2.3. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში:
ა)ტექნიკური დავალება, განმარტებითი ბარათი;
ბ) საკონკურსო წინადადების ფასი; ვალუტა–ლარი;
გ) ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ;
დ) ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
ე) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
ვ) კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი/ნომერი, კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, კონკურსანტის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული მისამართი, ბანკის დასახელება, კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში;

2.4. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან – სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის პროექტის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ტელ: 591 19 23 32.

3. ტექნიკური დავალება
3.1 ესკიზი
ა) ესკიზი ვიზუალური და შინაარსობრივი დატვირთვით აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და თავისუფლების ან/და მისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლო. ამასთან, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რელიგიური მოტივები.

ბ) მემორიალი უნდა განთავსდეს ქ. ლანჩხუთში არსებულ ცენტრალურ სკვერში, 25კვ.მ–ის ტერიტორიაზე. მემორიალის მთავარი ხედი ორიენტირებული უნდა იყოს ჟორდანიას ქუჩისკენ.

გ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა).

3.2 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ა) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მონუმენტის ესკიზს,ხარჯთაღრიცხვას და განმარტებით ბარათს;

ბ) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

გ) კონკურსანტმა შემსყიდველს უნდა გადასცეს სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 (ოთხი) ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია დაბეჭდილი უნდა იყოს შრიფტით sylfaen. CD დისკით. ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

დ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 33 000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.